მასობრივი დათხოვნის საკანონმდებლო რეგულირება ქართული და ევროკავშირის სამართლის შედარებითი ანალიზი

თამარი ხაჩიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კერძო (ბიზნეს) სამართლის ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თათა ერქვანია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარი ხაჩიძე: თ.ხაჩიძე

აბსტრაქტი

თანამედროვე შრომითი ურთიერთობები განვითარების ახალ ეტაპზე აყენებს დასაქმების ბაზარს, რასაც თან სდევს როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური გამოწვევები. მასობრივი დათხოვნა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პროცესი შრომით ურთიერთობებში, საჭიროებს კომპლექსურ სამართლებრივ რეგულირებას, რათა უზრუნველყოფილი იქნას დასაქმებულთა ძირითადი უფლებების დაცვა და სამართლიანი ბალანსი დამსაქმებლების ინტერესებთან. მასობრივი გათავისუფლებები ხშირად დაკავშირებულია ორგანიზაციულ რეორგანიზაციებთან, ეკონომიკურ კრიზისებთან, ან გლობალურ ტრენდებთან, როგორიცაა ტექნოლოგიური პროგრესი და ავტომატიზაცია.

ნაშრომის მიზანია საქართველოს შრომის კოდექსის მასობრივი დათხოვნის რეგულაციების გაანალიზება და მათი შედარება ევროკავშირის სამართლებრივ ჩარჩოსთან, განსაკუთრებით 98/59/EC დირექტივასთან. კვლევის პროცესში შეფასდება საქართველოს კანონმდებლობის ეფექტურობა, გამოვლინდება ძირითადი მსგავსებები და განსხვავებები და განისაზღვრება არსებული სისტემის გაუმჯობესების პერსპექტივები.

ნაშრომი აგებულია პრობლემატური მიდგომის საფუძველზე და ეფუძნება შრომის სამართლის თეორიულ კონცეფციებს, მოქმედ ნორმატიულ აქტებს, ასევე საქართველოსა და ევროკავშირის სასამართლო პრაქტიკას. შესწავლილი იქნება მასობრივი დათხოვნის სამართლებრივი წინაპირობები, დასაქმებულთა ინფორმირებისა და კონსულტაციის პროცედურები, სოციალური დაცვის მექანიზმები და მათი პრაქტიკული მნიშვნელობა.

ნაშრომი მიზნად ისახავს შესთავაზოს რეკომენდაციები შრომითი კანონმდებლობის დახვეწისა და ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის ინტეგრაციისთვის, რაც აუცილებელია ქართული შრომითი გარემოს მოდერნიზაციისა და დასაქმებულთა დაცვის სტანდარტების გაუმჯობესების მიზნით.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მასობრივი დათხოვნა; დირექტივა

Abstract

Modern labor relations bring the employment market to a new stage of development, which is accompanied by both economic and social challenges. Mass dismissals, as one of the most acute processes in labor relations, require complex legal regulation to ensure the protection of the fundamental rights of employees and a fair balance with the interests of employers. Mass dismissals are often associated with organizational reorganizations, economic crises, or global trends, such as technological progress and automation.

The aim of the paper is to analyze the regulations on mass dismissals of the Labor Code of Georgia and compare them with the legal framework of the European Union, in particular with Directive 98/59/EC. In the process of research, the effectiveness of Georgian legislation will be assessed, the main similarities and differences will be identified, and the prospects for improving the existing system will be determined.

The paper is built on a problematic approach and is based on theoretical concepts of labor law, current normative acts, as well as Georgian and European Union judicial practice. The legal prerequisites for mass dismissals, procedures for informing and consulting employees, social protection mechanisms and their practical significance will be studied.

The paper aims to offer recommendations for improving labor legislation and integrating EU best practices, which is necessary for the modernization of the Georgian labor environment and improving employee protection standards.

Key search words: mass dismissals; directiv